


K936
1a

III. 8. კერძოული

ՀՐԱՄԱՆ ՅԱԾՑԹԵՍ



„ଓইচিকা লা শুলো“

19 തബിള്ളറസ് 48

629.12(7)(0929428C6n)

ବ୍ୟା. କ. ପାଲନାୟକ

J.3. 2019-16946

1936

ՀՐԱՄԱՆ ՀՅԴՑԹԵՂ

„ Տարբերակ Հա Ցհութ “

19 ടെറിന്റോസ് 48



მოხეტიალე მსატევარი

ო

ილადელფიის ნავსაღვურში უმიზნოდ
დაწეტიალობდა ღარიბად ჩაცმული ჭაბუ-
კი. მისი ჭკვიანი გამომეტყველება, დინჯი ნაბიჯი და თავ-
მომწონე შეხეღულება ამტკიცებდა, რომ ის მოხეტიალე არ
იყო, რომ ის ბედის რაღაც უკუტრიალმა მოიყვანა აქ.

სად წავიდეს ახალგაზრდა, რომელიც წარმტაცი ოცნე-
ბებითაა გატაცებული, თუმცა ჭიბეში ორიოდე გროში თუ
გააჩნია და არსად საიმედო თავშესაფარი არ ეგულება.

რა გზას დააღეს გულქვა ღერო-შექლლის — მესათის
ურჩი შეგირდი ქუჩაში გამოგდებული იმისათვის, რომ მას
მეტის ცოდნა სურდა, ვინემ მესათის ანჩხლი ცოლის მოა-
ლეობაში შეეძლო შეეძინა.

პასუხი ამ კითხებზე ჭაბუქმა თავისი მშიერი კუჭისაგან
მიიღო. სიმშილმა შეაყენა იგი სამიგიტნოს კარებთან, საიდა-
ნაც სალერდელის ამშლელი სუნი გამოდიოდა. ვაუმა ჭიბეში
ჩაიყო ხელი, მთელი თავისი სიმდიდრე ამოალაგა და შევიდა
საშიკიტნოში.

ნათქვამია „ფეხი იმდენზე გასწიე, რომ საბანი გაღაგწ-
ვდესო“. ჭაბუქის ქონება საქმიარისი აღმოჩნდა ქონზე შემ-
წვარი ცხელი კარტოფილისათვის, მაგრამ რა გემრიელი იყო
ეს კარტოფილი დამშეცლი კუჭისათვის...

სამიგიტნოში რამდენიმე შეზარხოშებული მეზღვაური
იყო: მათ შორის ყურადღებას იძყრობდა ერთი ახმაზი, თმა-
ქოჩორა ვაჟკაცი. ჭაბუქმა ჭამა დაასრულა, ჩანთიდან ქა-

ლალლი ამოილო, ფანქარი მოიმარჯვა და თითქოს ჭრაბნა დაიწყო. ხან შეზღვაურს შეხედავდა, ხან ისევ ქაღალდზე ავლებდა რაღაც ხაზებს. ვერც კი შეამჩნია, რომ ერთმა მეზღვაურთაგანმა უკნიდან შემოუარა, ცნობისმოყვარეობით დააცერდა ქაღალდს და ამხანავებს შესძახა:

— ჰერი ჰა! ეს ბიჭი მხატვარი ყოფილა, მოდით, ნახეთ როგორ გამოუყვანია ჩვენი ახმახი..

საწყალი ჭაბუკი შეკრთა, შეშინდა. გინ იცის როგორ შეხედავს მის ნაჯაბბნს ეს თავზეზელალებული ბრბო. ან ის ახმახი რას იტყვის.

მალე დარწმუნდა, რომ საშიში არაფერი იყო. პირიქით ხელია მოუწონეს. მხოლოდ იმით ჩააგდეს ვაუი საგონებელში, რომ მოსთხოვეს სათითაოდ პორტრეტების გამოსახული...

სამიკიტნოდან ვაუი აღარ გამოსულა იმ ღამეს იქვე დაბინავდა მაძღარი და უეცრად გამდიდრებული იმ ოქროს ფულებით მან რომ თავისი ხელოვანების საფსურად მიიღო.

მეორე დღესაც, შემდეგაც გაგრძელდა ზატვის სეანსები. ბედმა გაუღიმა ჭაბუკს. შემოსავალი მატულაბდა დღითად დღე...

ასე დაიწყო ახალი ცხოვრება ფილადელფიაში რობერტ ფულტონშა. საინჟენერო ხელოვნების მაგივრად, რომლის შესაძენად ჩამოვიდა ივა ფილადელფიაში, მას ბედმა მოხერიალე მხატვრის როლი არგუნა.

სხვ მის ადგილზე ასეთი ბედით დაკმაყოფილდებოდა მუშტარი ბევრი იყო, შემოსავალიც კარგი, ბინა, საჭმელა სასმელი, ჩაცმა-დახურვა უზრუნველყოფილი. მაგრამ ფულტონი ისევ ინკინრობაზე ოცნებობდა ფულს აგროვებდა მხოლოდ მისთვის, რომ დედის ღარიბი ოჯახი დაეყენებია ფეხზე და შემდეგ...

გავიდა რამდენიმე წელი.

ფულტონების ბინის წინ ეტლი გაჩერდა. ვიღაც ქოხტად გამოწყობილი ლამაზი ახალგაზრდა გაღმოხტა ეტლიდან და გაპელული ნაბიჯით შევიდა ეზოში. მძიმე შრომისაგან ნაადრევად მოხუცებული მერი ფულტონი გაკირვებით შეჰყუჩებდა უცნობ ახალგაზრდას, რომელიც პირდაპირ მისკენ მიღიოდა: ერთი წუთიც და ვაუმა მაგრად ჩაიკრა გულში მოხუცი დედა.

რობერტი დაბრუნდა, რობერტი დავაუკაცებული, ასეთი შვირფასი ეტლით, ასე საუცხოვოდ გამოწყობილი. მოხუცის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. აი, როგორია მისი რობერტი, მისი ბურჯი და რაც მთავარია, რობერტი მასთანაა, მასთან დარჩება.. ოღონდაც!..

ერთ მშვენიერ მზიან დილით ფულტონების ქარებთან ესევ ეტლი დადგა. რა მოხდა? რობერტი ხომ არ აპირებს ისევ წასვლას. დედის გული შავი ჩრდილით დაიფარა. ის კითხვის ნიშნით შეჰყუჩებდა შვილს:

— აპა, დედილი, ჩინცოთ უგელამი გავისეირნოთ. მუ ერთ ნაცნობ ფერმერთან ვარ დაპატიჟებული. ზეპენც უვალანი ჩემთან უნდა წამოხვდეთ,

— მე კი მეგონა..

ეტლი მიჰქოდა. გაშორდნენ ქალაქის ვიჭრო ქუჩებს და გარეუბნის მინდვრებს მიაშურეს. ერთერთი მოხდენილი ფერმის წინ შეჩერდნენ:

— გთხოვთ!

რობერტი თავაზიანად წაუძღვა წინ დედას და დაქმას. საოცარი სიჩუმე სუფევდა განიერ ეზოში, რომელშიდაც ისინი შევიღნენ.

— სად არის მასპინძელი?

არავინ სჩანდა. რობერტი კი ჟმარურად იღიმებოდა და

თავის ისე თავისუფლად გრძნობდა, თითქოს აქ მრავალჯერ
ჟოფილა.

— ქალბატონო ფულტონი? ნება მიზოძეთ ვაღმოგცეთ ეს
გასაღები. ამიერიდან თქვენ იქნებით ამ ფერმაში მასპინძე-
ლიც და დიასახლისიც, — და ამ სიტყვებით რობერტმა
დედას გასაღები გადასცა.

მაშ რობერტმა შეასრულა თავისი დაპირება. შერი ფულ-
ტონს სიბერეში მაინც ეღირსა საკუთარი კუთხე, ფერმა
ეზოთი, ზალით, ზელლით, ბოსელ-საქათმით. ნუთუ ეს ყვე-
ლაფერი ფულტონებისაა?

— ყველაფერი ჩვენია, დედო. მე უფრო მეტი მსურდა
შევრამ...

მოხეტიალე მხატვარმა შეასრულა თავისი ერთი ოცნება
მაინც. ფუჭად არ ჩაიარა მისმა ხეტიალმა...

რობერტმა გალი მოიხადა, რობერტი ისევ უნდა შეუდგეს
საქმეს. მისი თვახი უმისოდაც გაძლებს. მას კი წინსვლა
ესაჭიროება.

და როცა მესამედ მოადგა ეტლი ფულტონების ბინის
კარებს, დედამ უკვე იცოდა, რომ მისი რობერტი ისევ სად-
დაც მიღის, ისევ რაღაცის საძიებლად მიემგზავრება.

და მოხუცი გრძნობდა, რომ ეს იყო ვამომშეიღობება სამუ-
დამო, რომ იგი კვლავ ვედარ იხილავდა თავის ჭკვიან, თმა-
ჭობირა ვაუს.

ასალი შეგობრები

ი

სევ ფილადელფია, ისევ მხატვრობა, ეხლა
უკვე საკუთარ სახელოსნოში, რომელზე-
დაც მიკრულია დაფა წარწერით:

ჩობერთ ცულთონი

პორტრეტისა და მინიატურების მხატვარი

რობერტმა კარგად იცის მუშტრის სურვილი: არაა სავალ-
დებულო სურათი ზუსტია დედანს გავდეს, მთავარია ადა-
მიანონა დაინახოს თავისი გამოხატულება ისეთი, რომ გან თა-
ვისი თავი მოეწონოს. ლიპიანი მეყასბე გასამრჯელოს არ ზო-
გას თუ მისი ღიპი ცოტათი მაინც იქნება გასაღაშინებული
სურათზე. გადაბერებულ გაუთხოვარს არაფერი აქვს საწი-
ნაალმდეგო თუ მხატვარი მის სახეს ზომიერ სიკეკლუცეს და
თუნდაც უზომინ გახახალგაზრდავებას შემატებს. მეომარს ან
შეზღვაურს მამაცი და შეუპოვარი გამომეტყველება ურჩევ-
ნია დაინახოს თავის პორტრეტზე, თუნდაც ასეთი ღირსე-
ბით არც იყოს დაჭილდოვებული ბუნებით.

ვართალია ფილადელფიაში ფულტონი უკვე ადარ იყო
ერთადერთი მხატვარი. მას მეტოქეებიც გამოუჩინდნენ, მაგ-
რამ შემოსავალი ისევ კარგი იყო, საქმე დამაკმაყოფილებ-
ლად მიღიოდა და შეიძლებოდა ასე გაფრძელება. ოდონდ არა
ფულტონისათვის. პირველი შემთხვევისთანავე მან ზურგი
იძრუნ შეჩევულ მუშტრებისაკენ და შორი გზას გაუდგა
უკეთესი ბედის საძებნელად, უკეთესი მომავლისათვის.

ასეთი შემთხვევა კი იყო ახალი მეგობრების შექმნა. ესენი იყვნენ ფილადელფიის ცნობილი მდიდარი შეხომალდე სამუელ სკორბიტი და თვით დიდი ბენიამინ ფრანკლინი.

ფრანკლინის და გეორგ ვაშინეტონის სახელები მთელს მსოფლიოში იყო განთქმული. ფრანკლინი იყო სახელმწიფო მოღვაწეც, დიპლომატიც, გამოგონებელიც. განა მის სახელთან არ იყო დაკავშირებული ზემოსფერული ელექტრონობის გამოყვლევა და მეხამჩიდის გამოგონება? განა ფრანკლინმა არ ჩაუყარა ამერიკაში საძირკველი სასტამბო საქმეს? განა ფრანკლინი არ იყო, რომ თავის დიპლომატური უნარით განცვითრებაში მოიყვანა მსოფლიო საფრანგეთის კოლონიებთან და ინგლისთან ბრძოლის ჰერიოდში? განა ფრანკლინის უშუალო მონაწილეობით არ შეიქმნა ახალი ამერიკის კონსტიტუცია?

ბედმა შეახვედრა ფულტონი იმ ადამიანთან, რომელიც ახალი ქვეყნის — დამთუჭიდებლობისათვის მემკრძოლ ამერიკის — მედროშე იყო. ფრანკლინს მაშინ 80 წელი უსრულდებოდა. ფრანკლინი გაეცნო რობერტის მუშაობას, ყურადღებით გადაათვალიერა მისი ნახატები. ბეგრი რამ მოუწონა, უფრო მეტი დაუწუნა. მისი აზრი ნათელი და მკაფიო იყო: — თქვენ კიდევ ბევრი უნდა ისწავლოთ. აქ ამერიკაში ქრისტიანობა მატვარი არ მოიპოვება. ეკროპა — აი თქვენი სკოლა...

სკორბიტის ფულადი დახმარებით, ფრანკლინის სარეკომენდაციო წერილით რობერტ ფულტონი, ამ საუბრის რამდენიმე დღის შემდეგ, უკვე გემზე იჯდა და ამერიკის ნაპირებს სცილდებოდა. მას თან მიჰეონდა რწმენა, რომ თუ აქამდე, ჭაბუკობაში, მან ბედის მრავალ უკუტრიალს გაუქმო, მით უმეტეს შესძლებდა იგი ბრძოლას ბრწყინვალე მომავლისათვის ეკროპაში; სადაც ის ჩაფიდოდა მომწიფებული, დაგუქაცებული.

ევროპაშიც ჩომ მეგობრები ეგულებოდა. ფრანკლინის
შერილი გამოჩენილ ინგლისელ მხატვრის უესტისაღმი ისე
არ დაიწერებოდა, რომ უესტი ფრანკლინის სალაშისა და
ნდობის ლირის არ ყოფილიყო და ვისაც დიდი ფრანკლინი
ენდობოდა განა ის შეიძლებოდა ადამიანი არ ყოფილიყო?

და მართლაც რობერტის იმედი გამართლდა. უესტი
შეიქნა არა მარტო გულმოდგანე მასწავლებელი, არამედ მისი
მამა და მდარეველი.

ბენიამინ უესტი ინგლისის განთქმული მხატვარი იყო.
ოდესლაც ისიც რობერტივით ჩამოვიდა ინგლისს ამერიკიდან
რომ მხატვრობას დაუფლებოდა და კიდევაც მიაღწია მიზანს
მეგობრების დახმარებით. უესტი არ დავიწერებია თავისი პირვე-
ლი ნაბიჯები, თავისი პირველი მფარველები და მასწავლებლე-
ბი. მათ ამაგს ეხლა ის იმით იხდიდა, რომ თვით მფარველობას
და ხელმძღვანელობას უწევდა მხატვრობის სენით შეკურიბილ
ახალგაზრდობას. უესტის სახლი სავსე იყო მისი მოწაფეე-
ბით, რომელთაგან არა ერთი სახელოვანი მხატვარი გამოვი-
და. მათთან ერთად უესტის სახლში დაბინავდა რობერტიც.

ფულტონზე დიდი შთაბეჭდილება მოაწინა თვით უესტის
შემოქმედებამ. თუ გენსბორო და რეინოლდსი პირტრეტის
განთქმულ ოსტატებად იყვნენ აღიარებული, უესტმა სახელი
მოიხვეშა ისტორიული ტილოებით.

ფილადელფიელი მოხეტიალე მხატვარის წინაშე გადაი-
შალა ლონდონში თავმოყრილი მხატვრული განძი. გამოიფე-
ნებზე, მუზეუმებში, წარჩინებულთა სასახლეებში, განთ-
ქმული მხატვრების პავილიონებში გაეცნო ფულტონი საუ-
კუნეთა განმავლობაში შექმნილ უკვდავ ტილოებს.

სელოვნების ამ მწვერვალებთან ვინ გაბედავდა გატო-
ლებას. მით უფრო მონდომებით შეუდგა ფულტონი სწავ-
ლას. ნიჭიერი და დაუღალავი მოწაფე იყო. დაკვირვებული
და დამჯერე. ცნობისმოყვარე და გამბედავი.

მას ყოველთვის ახსოვდა უესტის დარიგება:

— სახელის მოხვეჭას ბევრი ოფლი ჭირდება.

უესტის სახლი, საღაც რობერტი ცხოვრობდა, წარმოადგენდა მოწინავე, ხელოვნებისა და კულტურის მესვეურთა თაყვანისმცემელ საზოგადოების საკრებულოს. უდიდესი იყო ამ წრის გავლენა ფულტონზე.

ისე როგორც ეტლით მოსულ ქარგად ჩაცმულ ახალგაზრდაში ვერ იცნო მერი ფულტონმა თავისი სილარიბეში აღზრდილი რობერტი, ალბად ეხლაც ვეღარ იცნობდნენ ფილადელფილები მოხეტიალე მხატვარს ბრწყინვალე კეთილშობილური ქცევის, დაკაცებულ რობერტ ფულტონში.

3

ინ იქნებოდა ისეთი იმ ღროის ახალგაზრ-
და ინტელიგენტთა შორის, რომ ფულტო-
ნის ყოფა არ შეხარბებოდა. რა აკლდა მას? ვის ყავდა ისეთი
ძლიერი მფარველები, როგორიც იყვნენ ბენიამინ ფრანკლი-
ნი და ბენიამინ უესტი! ვის პერნდა ისეთი ბრწყინვალე მო-
მაგალი, როგორც ლონდონის საუკეთესო სამხატვრო სკოლის
ნიჭიერ მოწაფეს რობერტ ფულტონს...

მხოლოდ ოვით ფულტონი არ იყო კმაყოფილი, ის ისევ
თავისი პირველი მასწავლებლის მჟღელ დანის და მესაათე
სშიტსონის ბედს ინატრიდა.

მას მიანდევს ერთი სურათის ასლის გადაღება. ეს იყო
საპატიო დავალება. გამოჩენილი მხატვრის სურათის ასლი
ღირსეული უნდა ყოფილიყო. ფულტონი უნდა ჩაწედომოდა
ფერების საიდუმლოებას. ასლი მაშინ იქნებოდა კარგი და
მისაღები, თუ მასაც ისეთივე მიმზიდველობა, ფერების ისე-
თივე ჰარმონია, კომპოზიციის ისეთივე სრულყოფა ექნებოდა,
როგორც ორიგინალს. უესტს და მის შეგობრებს იმედი
პერნდათ რობერტის ნიჭისა და მონდომების. მართლაც გულ-
შოდგინედ შეუდგა იგი ამ საპასუხისმგებლო საქმეს.
მაგრამ ფულტონი მაინც ხელოსანი იყო და არა ხელოვანი.
იგი მუშაობდა მონდომებით, მთელი ენერგიით, მაგრამ
მხატვრობა მასში არავითარ სულიერ განცდას არ იწვევდა.

— რა მნიშვნელობა აქვს ამ სურათის? — ფიქრობდა იგი.
დაპერ ვინმე მდიღრის დარბაზში სხვა სურათთა შორის.
რა მიემატება ამით ქვეყნის მატერიალურ განძს?

— არა, იგი უაღრესად მატერიალისტია! მისი ბავშვობის მეტობარი, კეთილი მჭედლი დანი აქეთებდა გუთნებს, ურმებს, ქვაბებს, ასხამდა თუჭის ღუმელებს, ზარბაზნებსაც კი. ყოველივე ამას საქმეში იყენებდნენ, ყოველივე საჭირო იყო მაშინ, საჭიროა დღესაც, საჭირო იქნება მუდამ.

განა მესაათის და ოქრომჭედლის სმიტსონის საქმიანობა არ ჯობია ამ ფერების დაუსრულებელ ძებნას? შესაძლოა იგი ცდება, მაგრამ ახალ ქვეყანას, აღორძინებისა და განვითარების გზაზე დამდგარ ამერიკა ინუინრები, ოსტატები უფრო ესაჭიროება, ვიღრე მხატვრები.

ფულტონი მხატვრობას აფასებდა როგორც გასართობს, როგორც ძეირფას სამკაულს. ნამდვილი საქმე მისი აზრით იყო არა ის, რაც ადამიანის ესთეტიურ მოთხოვნილებას აქმაყოფილებდა, არამედ ის ჩაც ხელს უწყობდა ადამიანის ცხოვრების უშუალო გარდაქმნას.

ის დიდი ყურადღებით უსმენდა ყოველთვის საუბარს ახალ გზებზე, ახალ მანქანებზე, ტექნიკის ახალ მიღწევებზე.

ამიტომაც იყო, რომ ფულტონს ხშირად ხვდებოდნენ ტექნიკურ მუშეუმჯებში, ფიზიკურ კაბინეტებში და ლონდონის სახელოსნოებში. ის უფრო კმაყოფილად გრძნობდა თავს გამურულ სამჭედლოში, ვიღრე სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ბრწყინვალე დარბაზებში და ხშირად ეკითხებოდა თავის თავს:

— რა ჯობია: ვან-დეიკის წარმტაცი სურათი, თუ უატის შეშინავი მანქანა? არკრაიტის საქსოვი დაზვა თუ რუბენსის შიუწვდომელი ხელოვნება?

ის ვერ ერკვეოდა თავის ნამდვილ მოწოდებაში. ვინ იყო — მხატვარი თუ მექანიკოსი..

ასეთ წუთებში ფულტონი წააგავდა იმ ბედის მაძიებელზღაპრულ რაინდს, რომელსაც გზაჯვარედინამდე მიუღწევა და საგონებელს მისცემია: მარჯვნივ წავიდეს თუ მარცხნივ.

გადაწყვეტილება ფულტონშა მაინც მიიღო. მან უფრო მძიმე გზა აირჩია მიანება თავი შხატერობას და მასთან უდარდელ ცხოვრებასაც გამოემშვიდობა. მდიდრული ტან-საცმელი მუშავი ხალათზე გასცვალა ლონდონიდან ბირ-მინგამს ხავიდა და იქ ერთორთ მექანიკურ ქარხანაში მოეწ-ყო უბრალო მუშად.

მაშინ ობერტი 25 წლისა იყო. ცხოვრება იწყებოდა ხელახლა რა ელოდა მას არჩეულ ეკლიან გზაზე, იმ გზაზე, რომელზედაც მრავალი, მისი მსგავსი მეოცნებე, დაიღუპა?

მას აკონტებოდა თავისი მამა — ჭონ ფულტონი. ფულ-ტონების სამშობლო შოტლანდი იყო. აქედან ცხოვრების ქარიშხალმა მათ ირლანდში ამოაყოფინა თავი. ფულტო-ნები კათოლიკები იყვნენ და სხვა კათოლიკ ირლანდიელებ-თან ერთად იზიარებდნენ საშინელ დევნასა, და ჩაგვრას. აქედა-ნაც ჭონმა გაქცევა არჩია. 1735 წელს ჭონ ფულტონი „ახალ ინგლის“ — ამერიკას გაემგზავრა. პერსილგანის შტატში, დაბა ლიტლ-ბრიტენში (ეხლანდელ ქალაქ ფულტონში) მიწის ნაკვეთი შეიძინა და ახალი ცხოვრება დაიწყო.

მესამე სამშობლოც დედინაცვალი აღმოჩნდა. ჯერ საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ ქრიზისი ქრიზისს მოჰყვა და ჭონ-ფულტონი, რომელსაც უკვე ხუთი შეიღი ჰყავდა, საშინელ გაჭირვებაში ჩავარდა. ვალებმა აიძულეს ფულტონი გაეყიდა სახლკარი და მეოთხეჯერ გამოცვალა აღგილ-სამყოფელო. ამ ჯერად მან ლანკასტერი აირჩია. ისე, როგორც ყველგან და ყოველთვის, აქაც მეოცნებე ჭონ ფულტონს გაჭირვება და სიღარიბე ხვდა წილად. შრომას არ ზოგავდა, მაგრამ ყოველი შისი ცდა, ყოველი წამოწყებული საქმე ან უსარგებლოდ, ან, ხშირად, მარცხით მთავრდებოდა.

ჭონი უდროოდ მოხუცდა, მოტყდა სულიერად და ფიზი-კურად, სიცოცხლემ დაჭკარგა მისთვის ყოველი აზრი.. და 1868 წელს, როცა რობერტი მხოლოდ 3 წლისა იყო, ჭონ

ფულტონის სიცოცხლის ძლივს მოკიაფე ლამპარი სამულა-
მოდ ჩაჰქრა.

რობერტისათვის მამის ცხოვრება მწარე გაკვეთილი იყო.
მის მუღმივ წეტიალსაც წომ ასეთი ბოლო არ ელის? რა
ჩამაფიქრებელია ცხოვრების გზა-ჯვრელინ! იქნებ გვიანი
არაა უკან დაბრუნება. არა გადაწყვეტილება მტკიცე იყო.
რაც არ უნდა შეემთხვეს ახალ გზაზე, რობერტ ფულტონის
მიზანი ნათელია: ტექნიკის დაუფლება, საინჟინრო მოღვა-
წეობა, გამომგონებლობა...

დასახული მიზნისაკენ

1

ირმინგამის მექანიკურ ქარხანაში რობერტ
ფულტონი განსაცვიფრებელი თვედადე
ბით მუშაობდა. მისი მიზანი იყო სწავლა, სწავლა და სწავ-
ლა. ამიტომ არავითარ სამუშაოს არ ერიდებოდა.

იგი ხან სამჭედლოში გაჩნდებოდა გავარვარებულ ლუ-
მელთან ურთი შეიარაღებული, ხან ჩარხების გარშემო
ტრიალებდა, ხან ჩამომსხმელ სამქრალში ეხმარებოდა ოსტა-
ტებს. ყველაფერს აკვირდებოდა, სურდა ყველა წვრილმანში
გარევეულიყო.

განსაკუთრებით უყვარდს მას ჩარხების აწყობა-შეკუთ-
ბა. მალე მას „ჩარხების ექიმი“ უწოდეს. და მართლაც არა
ერთი გადაგდებული ჩარხი და ხელსწყო იღადგინა და
მწყობრში დაბრუნა.

სამი წლის განმავლობაში მან რამოდენიმე ქარხანა გა-
მოიცალა. ის არ ეძებდა უკეთესს პირობებს. ის ეძებდა
მხოლოდ ახალ-ახალ საქმეს, რომ რაც შეიძლება მეტი
ცოდნა შეეძინა, რაც შეიძლება მეტი გამოცდილება მიეღო.

განსაცვიფრებელია ფულტონის უნივერსალობა და იმავე
დროს მექანიკის ყველა უმთავრესი დარგის ზელმიწევნით
ათვისება. განსაცვიფრებელია მისი შრომისუნარიანობა,
დაუშერეტელი ენერგია. ის არ კმაყოფილდებოდა მარტო
ქარხებში შექენილი პრაქტიკული ცოდნით. სახლში დაბრუ-
ნებისთანავე, მიუხედავად დაღლილობისა, ფულტონი მიუჭ-
დებოდა მაგიდას და მეცადინეობდა ფიზიკაში, ქიმიაში,
ტექნიკურ მექანიკაში, ხაზებში... მის ყურადღების გარეშე

არ რჩებოდა არც ერთი სელმისაწვდომი ახალი წიგნი ტექ-
ნიკის დარგში. განსაკუთრებით ინტერესს იჩენდა იგი ახალ
გამოგონებებისაღმი.

გამომგონებლობა.. დაუშრეტელი იყო ფულტონის ახალ-
ახალი ტექნიკური იდეების ნაკადი. მარმარილოს სახერხი და
სახერხი დაზგა. ბაგირების დამზადების ახალი ხერხი. სანა-
ოსნო არხების ორიგინალური პროექტები. მექანიკური ეს-
ვავატორი. ასეთია ფულტონის გამომგონებლობის მრავალ-
მხრივი გამოცდინება. ის გვერდს არც ერთ თვალ-
საჩინო წამლებებას, ყველგან თავისი წვდილი შეაქვს. ახალ-
გაზრდა ამერიკელი ინჟინერი საერთო ყურადღებას იძყრობს.
შრიტენის სელფენებისა და ვაჭრობის წამასალისებრები
ასოციაცია მას საპატიო სიგელით და მედლით აჯილდოვებს.

ფულტონის აღტიაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა მას
დაუვალეს უატის თრაქტელის მანქანის შეკეთება. ამ თრაქტელის
მანქანამ მას საშუალება მისცა თვით განთქმულ გამომგონე-
ბელს გასცნობოდა, ფულტონი პირმინგამის ქარხნის ინჟი-
ნერთან ერთად ეწვია უატის ხოსტში საკონსულტაციოთ.

უატის თრაქტელის მანქანაციმ დროს უკვე საკმალ ცნო-
ბილი იყო. 55 წლის უატი ინგლისის სამრეწველო ტექნიკის
ძელადად ითვლებოდა.

ორთქლის მანქანა მტკიცედ შეიძრა მრეწველობაში და
ნემცვილი ტექნიკური რევოლუცია მოახდინა. ორთქლის
მანქანას კიდევ უფრო ბრწყინვალე მომავალი ჰქონდა. ფულ-
ტონის ყურამდე მიაღწია არა ერთმა ცონბამ იმის შესახებ,
რომ მრავალი ცდა სწარმოებს თრაქტელის ძალით გემების
შეიარაღებისა. ამ იდეით თვით ფულტონიც იყო გატაცე-
ბული და ბუნებრივია, რომ ახალგაზრდა მექანიკოსი დიდ
დელგას განიცდიდა, როცა უატის სახლში პირველად შედგა
ფეხი.

უატიან შესვედრაშ და მასთან საუბარმა კიდევ უფრო

დაარწმუნა ფულტონი, რომ ორთქლის მანქანის გემზე დადგ-
მა ძნელი, მაგრამ საესებით შესაძლებელია.

აი რა უპასუხა უატმა ფულტონს შეკითხვაზე:

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ამოცანა თდესმე გან-
ხორციელებული იქნება. იქნება თქვენ შესძლოთ, ახალგაზრ-
დავ, იმის დასრულება, რასაც მე ვერარ მოვასწრებ.

„...იქნება თქვენ შესძლოთ!...“ თქმა აღვილია, მაგრამ ცდაც
ხომ ბედის მონახევრეა? ბოლოს ვინმე ხომ შესძლებს ამოცა-
ნის გადაჭრას და განა არ შეიძლება ეს ვინმე თუნდაც ფულ-
ტონი იყოს!...

ფულტონის გადაწყვეტილებაზე უდიდესი გავლენა მოახ-
დინა აგრეთვე ამერიკელ რუმზეის შეხვედრამ. რუმზეი ფულ-
ტონზე აღრე ჩამოსულა ინგლისში სადაც იგი ცდილობ-
და თავისი ტექნიკური იდეების განხორციელებას. ამ იდეებს
შორის ყველაზე უფრო მას უნიჩო და უიალქნო გემის შექმნა
იტაცებდა. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით იყო რექ-
ტიული ნავი მეტად მარტივი სქემით: ორთქლის მანქანას
მოქმედებაში მოჰყავდა წყლის ტუმბო, რომლიდანაც ნავის
ქვეშ გამოყვანილი იყო მილი ხასით ნავის მიმართულების
წინააღმდეგ. მილიდან შესუილით გამომდინარე წყლის ნაკადს
რეაქტიული ძალით მოძრაობაში მოჰყავდა ნავი. რუმზეის
ეკუთვნის კიდევ სხვა მრავალი გამოგონება, მაგრამ უსახსრო-
ბის გამო მისი იდეები იდეებად ჩატარდა. და, როდესაც იგი
ფულტონმა გაიცნო, მაშინ უკვე სიკვდილის აჩრდილი დასტ-
რიალებდა ჭლექით დაავადებულ რუმზეის, თუმცა იგი ისევ
განაგრძობდა ოცნებას:

— მისტერ ფულტონ! აი წამოვდგები ფეხზე და... თქვენ
მალე ნახავთ ჩემ ახალ გემს... ჩემი შრომა დაფასდება და მა-
შინ ვიყენები...

ფულტონი ამხნევებდა თავის ახალ მეგობარს ათუმშვა ხე-
ლავდა, რომ მისთვის ყოველზევე დამთავრებულ რუმზეის, თუმცა



ნებე რუმზე ი აღარ ამდგარა და მისი ოცნებების განხორციელება სხვას პრგუნა ბედმა.

მაგრამ უატთან შეხეედრამ, გამომგონებელ რუმზეისთან მეგობრობამ, ორთქლის მანქანის სწრაფმა გავრცელებამ მრეწველობაში და იმ უშედებო ცდებმა ,რომლებიც ჩატარდა ორთქლის ძალის გემზე გამოყენების დარგში, უდიდესი გავლენა იქონიეს ფულტონის შემდგომ მოდგაწეობაზე. მას სულ უფრო და უფრო იტაცებს ორთქლმავალი გემის შექმნის იდეა და მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, რომელიც ამ ეკლიან გზაზე მოელის მას, ფულტონი მტკიცე გადაწყვეტილებას დებულობს ამ მიზანს შესწიროს თავისი ცოდნა და ენერგია.

ცოტა რამ ისტორიდან

პაშინდელ ტექნიკურ ლიტერატურაში, საარქივო მასალებში, რომელთაც ცნობის-მოყვარე ფულტონი თვითონანვითარების მიზნით ეცნობოდა, ცოტა როდი მოიპოვებოდა ცნობები გემზე ორთქლის მანქანის დაღვმის ცდების შესახებ.

ორთქლის ძალის გემზე გამოყენებას, იმ დროისათვის, როდესაც ფულტონი მხალეოდ გამოდიოდა საინჟინერ-საგა-მომგონებლო ასპარეზზე, უკვე საკმაოდ ხანგრძლივი ისტო-რია ჰქონდა. პირველ ცდას ამ მიმართულებით აკავშირებდნენ ესპანელ ბლასკო დე-გორეს სახელთან (1553 წ.). თუმცა ზოგერთ მკვლევარს ფანტასტიკურად მიაჩნია გორეს მიერ გემზე ორთქლის გამოყენების ამბავი, მაგრამ არსებული ხაარქივო მასალა საკმარისია იმის დასადასტურებლად მაინც, რომ ბლასკო დე-გორეს რაღაც განსაკუთრებული ცდა მოუხდენია გემზე ბარსელონაში, ესპანეთის მეფის კარლოს მე-V-ის თანასატრებით და უნიჩიბო და უიალქნო გემი გაუყვანია ნავსაღვურიდან ღია ზღვაში. ამ ცდის შინაარსი და მისი ტექნიკური შედეგი ისტორიის ბურუსშია გახვეული.

რობეტ ფულტონისათვის ცნობილი იყო დენი პაპინის 1707 წლის ცდა გემზე „ცეცხლოვანი“ მანქანის გამოყენებისა. თუმცა აქაც ეჭვის შეეშ აყენებენ პაპინის გემს, მაგრამ არსებული წყაროების დაბირისპირება უდავოდ ხდის, რომ პაპინმა ნამდვილად ააგო „განსაკუთრებული“ გემი, რომ ამ გემზე თვით პაპინის გადმოცემით „ცეცხლოვანი“ მანქანა იდგა.

აი რას სწერს პაპინი თავის მეგობარს, ცნობილ მეცნიერ ლაიბნიცს: *)

„... მე განზრახვა მაქვს წავიდე აქედან იმ გემით, რომლის შესახებაც მე თქვენ გაგიზიარეთ ჩემი აზრები. მე იმედი მაქვს ყველა დაკარწმუნო, რომ შეიძლება ჩემს მიერ არჩეული ტიბის გემით სარგებლობა და ცეცხლის მანქანის გამოყენება... მე კარგად ვიცი თუ რა დიდ იმედს ამყარებთ თქვენ ცეცხლის მანქანის გამოყენებაზე ნაოსნობაში... უნდა აღვნიშნო, რომ მდინარის ძალა იმდენად მცრავა ჩემი მანქანის ძალასთან შედარებით, რომ ვერც შეამჩნევთ საით უფრო ჩქარა მიდის გემი — წყლის დენის მიმართულებით, თუ მის წინააღმდეგ. თუ მას ჯერ მრავალი ნაკლი აქვს, ყოველ შემთხვევაში მასში ჩასახულია ყოველივე, რაც საჭიროა ნაოსნობისათვის, რომ ის წყლის დინებასა და ქარზე არ იყოს დამოკიდებული...“

თუ ბლასკო დე-გორეს გემს ფანტაზიის ნაყოფად თვლიან მარტო იმიტომ, რომ არ არსებობს რაიმე საწრმუნო წყარო აშ გემის შესახებ, პაპინის გემი უდავო რეალობად უნდა იქნეს აღაარებული. რად დასჭირდებოდა პაპინს ლეიბნიცის სახელზე დაწერილ წერილში՝ სამხერ ეხსენებინა ცეცხლოვანი მანქანა და მისი ძლიერება, თუ უზრალო ნავით მოგზაურობდა?.-

მეოთვამეტე საუკუნე უნდა ჩაითვალის ნაოსნობის ძრავით შეიძრალების მრავალმხრივი და დაუღალავი ძიების საუკუნედ. ვაჭრობის გაფართოებამ მსოფლიო ბაზრების ურთიერთებავშირმა, საქონლის მასობრივი გაცვლა-გამოცვლის საჭიროებამ, მქვეთრად დაყყენეს საკითხი მიმოსვლის საშუალებათა განვითარების შესახებ. ორთქლის მანქანის სუ-

*) იხ. ლ. კელენგერიძე, „ორთქლის მანქანის დაბადება“. თბილისი, გამომც. „ტექნიკა და შრომა“, 1943 წ.

ლისჩამდგმელთა ცდებს ფეხდაფეხ მიპყვებოდა ორთქლმა-
გალი გემის გამოგონების ცდები.

პაპინის გემის ბარბაროსული დამსხვრევა ვერ შეაჩერებ-
და ტექნიკის განვითარების ისტორიის ბუნებრივ და აუცი-
ლებელ მსვლელობას. მდინარე ვეზერზე მომხდარი ტრადე-
დის შემდეგ მხრილოდ 29 წელმა განვლო და ინგლისელმა
იონათან გულმა გემზე ორთქლის მანქანის გამოყენების ახა-
ლი იდეა წამოაყენა. ეს იყო ატმოსფერული მანქანისა და
ნიჩბებიანი ბორბლის მეტად პრიმიტიული, მაგრამ მაინც
საინტერესო კომბინაცია. ცნობილია დანიელ ბერნულის
(1738 წ.), გორიეს (1756 წ.), ჰენრის (1763 წ.) ოქსირონის
(1775 წ.), და სხვათა წინადაღებანი.

ორთქლის ძალის გემზე გამოყენებას ცდილობდნენ ერთ-
დროულად და დამოუკიდებლად საფრანგეთშიც, ინგლიშიც,
ამერიკაშიც, რუსეთშიც გამომგონებელთა შორის რამდენი-
მეტ შესძლო გემის აგება და ცდების ჩატარება, მაგრამ ამ
ცდების უმრავლესობა არადამაკმაყოფილებელი იყო.

იმ გამომგონებელთა შორის, რომლებმაც, მიუხედავად
უდიდესი დაბრკოლებისა, შესძლეს გემების აგება და გა-
მოცდა, არ შეიძლება განსაკუთრებით არ მოვიხსენიოთ
ფულტონის რამდენიმე თანამედროვე.

ქლოდ ფრანსუა ჟოფრედუ (1751-1832 წ.წ) აგებს გემს
საფრანგეთში. გემის მოძრაობას იგი ანხორციელებს. მცუ-
რავი ფრინველების წაბაძვით — იხვის თათისებრი ნიჩბე-
ბით გამოცდაში ნათელკყო, რომ არაა საჭირო ყოველგვის
ბუნების. მიბაძვა გემი „კუს ნაბიჯით“ მოძრაობდა და ცხა-
დია, თვით გამომგონებელსაც კი. არ აკმაყოფილებდა ასეთი
სიჩქარე. 1780 წელს უოფრედუმ მეორე გემი ააგო. ამჯერად
გამოყენებული იყო ნიჩბებიანი ბორბლები. გემის გამოც-
დით, რომელიც 1783 წელს ჩატარდა, დამთავრდა უოფრედუს
მოღვაწეობაც. რევოლუციაშ საფრანგეთში აიძულა უოფრედუ


გადახვეწილიყრ სამშობლოდან და ხელი აეღო თავისი შრო-
მის ნაყოფით სარგებლობაზე.

ამერიკაში გვმის აგება შესძლეს ერთდროულად ფიჩქა
და რუმშეიმ. ფიჩქის პირველ გემში გამოყენებული იყო ნიჩ-
ბები, რომლებიც მოქმედებაში მოჰყავდა ორთქლის მანქა-
ნას. ფიჩქის გვმის გამოცდაზე, რაც 1787 წელს მოხდა, დას-
ტრენ ამერიკის მთავრობის წევრები ფრანკლინისა და უ-
ზინგტონის მეთაურობით. გემი ნაოსნობისათვის უვარებისი
აღმოჩნდა. ფიჩქა 1790 წლისათვის შეორე გემი დააშვალა,
რომელიც პირველზე გაცილებით უკეთესი იყო. მაგრამ ძაც
ფიჩქა მარცხი განიცადა. გემი მალე მწყობრიდან გამოვიდა,
ფიჩქის კი არავითარი სახსარი არ გააჩნდა საქმე დაეგვირგი-
ნებინა. სასოწარკვეთილებამდე მისული ნიჭიერი გამომგო-
ნებელი 1798 წელს მდინარე დალავარში გადაეშვა და თავი
დაიხრია.


სიღატაკეში ამოხდა სული რუმშეის. მისი მრავალჯერი
ცდა აეგო ორთქლის ძალით მავალი გემი, უნაყოფო ალ-
მოჩნდა. როცა რუმშეი დარწმუნდა, რომ ამერიკაში მას
გასაქანი არა აქვს, რომ მის რეაქტიული გემის იღესა არავინ
იშიარებს, ის ინგლისს გაემგზავრა, სადაც ააგო ახალი
ორთქლმავალი ნავი, მაგრამ მუშაობის დროს რუმშეი გა-
ციდა და 1792 წლის 23 დეკემბერს გარდაიცვალა.

პირველი გემი ინგლისში ააგეს საიმინგტონშა და მია-
ლერშა (1788 წ.). მათი გემი მოძრაობდა 10 კილომეტრის
სიჩქარით საათში. უსახსრობამ ხელი შეუშალა გამომგონებ-
ლებს დაებოლოვებინათ დაშვებული საქმე.


იმავე საიმინგტონმა თომას. დენდასთან ერთად ააგო
1801 წ. ახალი გემი „შარლოტა დენდასი“ გემს უნდა ემუ-
შავა ფორტსის არხში, მაგრამ არხის მეპატრონეებმა აკრძა-
ლეს გემის მოძრაობა, რადგან მათი მტკიცებით გემი დიდ
დელგას იშვევდა და არხის ნაპირებს აზიანებდა.



გეგი „ვარლომბა დენდას“-ი (1801 წ.)



ფიჩის ნიჩბებიანი გეგი (1790 წ.)



პირველი გეგი რუსეთში (1816 წ.)

ცონბილია აგრეთვე სოულის (ინგლისი), სტივენტის (ამერიკა), ბერლის (ჩუსეთი) ცდები.

როგორც ვხედავთ, ორთქლის ძალის გემზე გამოყენების ასპარეზზე მოღვაწეობდა სხვადასხვა ქვეყნებში გამომგონებელთა, მეცნიერთა, მექანიკოსთა და ხელოსანთა მთელი წელი. ისე როგორც ორთქლის მანქანა, გემიც ნამდვილი ინტერნაციონალური აღმოჩენა იყო.

მარტო იდეა, მარტო სურვილი და ნებისყოფა არ კმართდა გამარჯვებისათვის. წარმატების აუცილებელ პირობას წარმოადგენდა გამოსადეგი ორთქლის მანქანის არსებობა. მხოლოდ ჯემს უატის ორთქლის მანქანის შექმნის შემდეგ გახდა შესაძლებელი გემზე ორთქლის ძალის სამედო გამოყენება და ჩვენ ვხედავთ, რომ თუ მანამდე ცდები იმ მიმართულებით უშედეგოდ მთავრდებოდა, უატის ორთქლის მანქანის გამოჩენიდან და განსაკუთრებით მისი ორმაგი მოქმედების მანქანის გამოშევების შემდეგ ორთქლმავალი გემის შექმნის საქმე გაცილებით უფრო სწრაფი ნაბიჭით წავიდა. წინ.

ფულტონი მოწამე იყო იმ დაულალავი შრომისა, რომელსაც აწარმოებდნენ მისი თანამედროვენი. მან კარგად იცოდა, თუ რა სიძნელეს წარმოადგენს ყოველი ახალი საქმის განხორციელება კაპიტალისტურ ვითარებაში. და მით უფრო დასაფასებელია მისი უდრევი ნებისყოფა და მტკიცე გადაწყვეტილება ბრძოლით გაუკაფა გზა გამარჯვებისაკენ.

უატის სიტყვებით გამხნევებული ფულტონი კიდევ უფრო მეტი მონდომებით შეუდგა იმ ძნელი საქმის განხორციელებას, რომელიც მანამდე საბოლოოდ ვერავინ სძლია.

ჟე გადაწყვეტილებამ ჩაიყვანა ფულტონი პატიზში, სადაც მას ეგულებოდა საიმედო მეგობარი და მფარველი — ამერიკის ელჩი საფრანგეთში, იოელ ბარლოუ.

დიდი ადამიანის
ორი შეცდომა

ვ

ულტონის პირველი ნაბიჯი პარიზში ჩასვლისას იყო არა ორთქლშავალი გემი, არა-მედ მექანიკური წყალქვეშა ნავი და მოტივტივე ნაღმი-გამოცდა დადებითი შედეგებით დამთავრდა, მაგრამ შრომამ უნაყოფოდ ჩაიარა: საზღვაო საგინისტრომ არ მოისურვა ფულტონის გამოგონების განხორციელება. საფრანგეთის პირველმა კონსულმა ნაპოლეონ ბონაპარტმა ვერ შეაფასა ფულტონის გამოგონება და უარყო იგი.

საფრანგეთი გარშემორტყმული იყო ინგლისის ძლიერი ფლოტით. ნაონსობა ძალზე შეზღუდული იყო. 1797 წლის 15 თებერვალს ინგლისის აღმირალმა ჭონ ჭერვისმა დაამარცხა საფრანგეთის მოქავშირე — ესპანეთის ფლოტი ვინცენტის კონცხთან.

1798 წლის 1 აგვისტოს აღმირალმა ჰორაციო ნელსონმა გაანადგურა საფრანგეთის ხმელთაშუაზღვის ფლოტი აბუკირთან.

1800 წლის 5 სექტემბერს ინგლისის ფლოტმა დაიპყრო მალტა. ზღვაზე ინგლისი განუყოფად მეფობდა და ბორკავდა საფრანგეთის და მისი მოქავშირეების ყოველ განზრაბეს თავი დაეღწიათ ბლოკადისაგან.

ამ პირობებში ნაპოლეონს უნდა გამოეყენებია ყოველივე საშუალება და მით უფრო ფულტონის გაბეღული იღები. წყალქვეშა ნავი და ნაღმი ვინ იცის რა შედეგს მისცემდა საფრანგეთს. მაგრამ ნაპოლეონმა, რომელიც დარწმუნებული იყო თავის სიძლიერეში, უარი თქვა ეს იყო დიდი აღამიანის დიდი შეცდომა.

ფულტონმა გადაშევიტა საფრანგეთიდან წასვლა, მაგრამ ბარლოუ შესცვალა ახალმა ელჩმა — რიბერტ ლივინქ-ტონმა, რომელმაც გაამსნევა ფულტონი, დახმარებას დაპირდა მას და უარი ათქმევინა წასვლაზე.

— არ გირჩევთ აშერიყაში დაბრუნებას, ხომ იცით რომ გამომგონებელი რუზმეი გამოიქცა ამერიკიდან ევროპაში, ხოლო მეორე ჩვენმა თანამემამულემ ორთქლით მავალი გემის შემქნელმა ფიჩმა ვეღარ გაუქლო ბრძოლას და თავი დაიხრჩო. სჯობს ერთად მოვიფიქროთ სხვა გამოსავალი...

და ლივინქტონმა გადუშალა ფულტონს ორთქლის მანქანით აღჭურვილი გემის აგების გეგმა.

— ასეთი გემი გამოგონებულია. ასეთი გემი ბევრმა ქადეც ააკო, მაგრამ მათი გემები ბაჟშეური ავალმყოფობით არიან შეპყრობილი: სიარული არ იციან. იქნებ ჩვენ შეეძლოთ უკეთესის გაკეთება, ხაჩვებს მე ვისრულობ. რას იტყვით ამაზე? ფულტონი აღტაცებაში მოვიდა ახალი მეგობრის წინადადებით. ის მზად იყო ბრძოლისათვის.

უკეთესი გემის გაკეთება! ეს არც ისე აღვილი იყო. ფულტონის წინაშე წამოიჭრა მრავალი კითხვა: რა მოყვანილობის უნდა იყოს გემი, რა სიჩქარის განვითარებაა შესაძლო, რომელი მექანიზმი უმჯობესია: მიღერის ბორბალი, ფიჩის ნიჩები, თუ რუმზეის ტუმბო.

ფულტონს სიძნელეები არ აშინებდა. ის შეუდგა საქმეს რწმენით, რომ გაიმარჯვებდა. არც ერთი წვრილმანი არ გამორჩენია მხედველობიდან. თითქმის ორი წლის თვლადებული შრომა დასჭირდა დასახული გეგმის განხორციელებას.

1803 წელს მდინარე სენაზე საფრანგეთის აკადემიის კომისიის თანადასწრებით ფულტონმა გამოიცადა თავისი გემი.

აი რას მოგვითხრობს ამ გამოცდის შესახებ „შესანიშნავ გამოგონებათა ისტორია“:

„„საღამოს 6 საათზე, სამი კაცის დახმარებით, გემი

დაიძრა... საათ ნახევრის განმავლობაში მოძრაობდა ეს უცნაური გემი, რომელსაც ბორბლები ჰქონდა... როცა გემი სენის დინების წინააღმდეგ მიდიოდა, მისი სიჩქარე საათში 2400 ტუაზს უდრიდა (5 კილომეტრს). როცა იგი დინების მიმართულებით მიდიოდა, მისი სიჩქარე საგრძნობლად მატულობდა. გემმა ოთხი გზა გააკეთა ბონომსა და შათოს შორის”...¹

გამოცდა ფულტონის გემის გამარჯვება იყო. საფრანგეთის მთავრობმ და მისმა მეთაურმა ნაპოლეონ ბონაპარტმა ამჟერადაც ზურგი იბრუნეს გამომგონებლისაკენ. თუმცა ბონაპარტმა მიიღო ფულტონი და ესაუბრა მას, მაგრამ მანც უარყო მისი წინააღმდება. დიდმა ადამიანმა მეორეჯერ დაუშვა უდიდესი შეცდომა.

ნაპოლეონის ერთერთი მარშალი მარმონი თავის მემუარებში განცვილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ნაპოლეონმა ვერ შეაფასა ფულტონის გამოგონება.

„ამერიკელმა ფულტონმა განიზრახა გამოეყენებია გემზე რრთქლის მანქანა, როგორც ყველაზე უფრო მძლავრი ძრავა. ბონაპარტმა, რომელიც ყოველივე ახალი წამოწყების წინააღმდეგი იყო, უარყო ფულტონის წინააღმდება. პირველკონსულს ფულტონი გაიძვერად მიაჩნდა. ორჯერ შევეცალე შემეცვალა მისი ასეთი შეხედულება, მაგრამ ამაოდ. წარმოდგენაც კი ძნელია იმისა, თუ რა მოხდებოდა, რომ შეგვძლებოდა მისი აზრის შეცვლა... ფულტონი ჩვენ საფრანგეთის კეთილმა ჰენრიმ მოგვივლინა. პირველმა კონსულმა ხელიდან გაუშვა თავისი იღბალი“...²

და მართლაც... ინგლისის ფლოტის ბლოკადის გარღვევა და ბრიტანეთის კუნძულზე შეჭრა, რაზედაც ნაპოლეონი კცნებოდა, მხოლოდ ან უფრო ძლიერი ფლოტით შეიძლებოდა, ან ისეთი გემებით, რომლებსაც დიდი უბირატესობა ექნებოდა ინგლისის იალქნიან ფრეგატებთან შედარებით:

ასეთი გემები იყო ფულტონის წყალქვეშა ნავი და ორთქლ-მავალი გემი.

ნაპოლეონის შეცდომამ სულ მალე იჩინა თავი. მღინარე სენაზე ფულტონის გემის გამოცდის ორი წლის შემდეგ საფრანგეთ-ესპანეთის ფლოტმა ახალი მწვავე დამარცხება იგემა. ინგლისის ფლოტმა ნელსონის მეთაურობით გაანალგურა საფრანგეთ-ესპანეთის ფლოტი ტრაფალგართან (1805 წლის 21 ოქტომბერს). საინტერესოა ნელსონის ლელი ჰამილტონისადმი მიმართული წერილის ის ადგილი, სადაც ის ფლოტის მანევრირებას ეხება:

„ქარი იმდენად ვერ უბერავდა დასავლეთისაკენ, რომ შეერთებულ ფლოტს (საფრანგეთ-ესპანეთისას) შესძლებოდა ტრაფალგარის კონცესის შემოვლა... ქარი მეტად სუსტია; ასე რომ მე იმედი არა მაქვს შევხვდე ფლოტს ხვალამდე მაინც“...

ვინ იცის როგორ დამთავრდებოდა ბრძოლა, რომ ნაპოლეონის ფლოტში რამდენიმე ორთქლმავალი გემი მაინც ყოფილიყო.

საფრანგეთში ფულტონის დარჩენა უაზრო იყო. ნაპოლეონის მფარველობის გარეშე ყოველი ცდა უნაყოფო იქნებოდა. ასეთ მფარველობაზე კი ნაპოლეონმა უარი განაცხადა.

ბიზეს ქრთი ცდა

ი

ნგლისის სამხედრო უწყება და პირველ ყოვლისა საზღვაო ფლოტის სარდლობა ფხაზლად აღევნებდა ოვალუურს ფულტონის ცდებს საფრანგეთში.

ნაოსნობაში გამოცდილ ინგლისელებს კარგად ესმოდათ, თუ რა ზიანის მიყენება შეეძლო მათი ფლოტისათვის ფულტონის წყალქვეშა ნაგს, მოტივტივე ნაღმებს და ორთქლმავალ გემს.

— ინგლისის ფლოტი საფრთხეშია! წყალქვეშა ნავი და ორთქლმავალი გემი ნაპოლეონის ხელში — ეს საშინელი უბედურება იქნება ინგლისისათვის!..

ასე ამბობდნენ ინგლისის წინდახედული სარდლები. მათი რჩევა ერთსულოვანი იყო:

— რაც არ უნდა დაგვიჯდეს შევისყიდოთ ფულტონისაგან მისი პროექტები.

თუ ნაპოლეონის შეცდომები საფრანგეთში უკმაყოფილებას იწვევდა, ინგლისში, პირიქით, აღტაცებას გამოსტვამდნენ ფულტონის საშიში ცდების უარყოფის გამო.

და როგორც კი ფულტონი საფრანგეთს განშორდა და ინგლისში ჩავიდა, რომ აქედან სამშობლოში დაბრუნებულიყო, ინგლისის საზღვაო ფლოტის სარდლობამ მოლაპარაკება გამართა გამომგონებელთან.

საერთაშორისო პოლიტიკა და ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობა დიდად არ აღელვებდნენ ფულტონს. ის ტექნიკოსი იყო და არა დიპლომატი. მისი მიზანი იყო გემის აგება.

თუნდაც ინგლისისათვის. თუ ნაპოლეონმა ვერ დააფასა მისი იდეები, იქნებ ინგლისში გახდეს შესაძლო მათი განაღდება.

ფულტონი მოკრძალებით მიიღეს საზღვაო უწყებაში. გაეცვნენ შის იდეებს, პროექტებს. აზრთა გაცვლა-გამოცვლამ დარწმუნა ფულტონი, რომ ინგლისი დაინტერესებულია მისი პროექტებით, რომ ინგლისი აფასებს მის იდეებს და მზადა დაეხმაროს.

ინგლისის მთავრობამ გაიღო საჭირო თანხა: ფულტონმა ააგო წყალქვეშა ნავი. 1805 წლის ივნისში მოხდა ამ ნავის გამოცდა. გამოსცადეს აგრეთვე მოტივტივე ნაღმი. გამოცდის შედეგები სავსებით დამაკმაყოფილებელი იყო. თითქმის აღარაფერი ელობებოდა წინ ფულტონის პროექტების ფართო განხორციელებას, მაგრამ...

ფულტონმა მიიღო მისაწვევი ბარათი. მას ეპატიუებოდა ინგლისის ფლოტის ადმირალი. საზღვაო საქმეებში გამობრძედილმა მოხუცმა ადმირალმა თავაზიანიდ მიიღო გამომგონებელი.


— მისი უდიდებულესობის მთავრობა მეტად კმაყოფილია თქვენი ცდებით, მიმართა მან ფულტონს. ჩვენ გადავწყვიტეთ შევიძინოთ თქვენი პროექტები. მგონი 20.000 დოლარი ცოტა არ იქნება მათ საფასურად?

20.000 დოლარი! ასეთი თანხა ერთად არასოდეს უხილავს ფულტონს. ამ თანხით ის შესძლებს თავისი იდეა განხორციელოს! საუცხოვოა; ის, რასაკვირველია, თანახმაა...

— მაგრამ ერთი პირობა: არსად და არასოდეს არ უნდა გაიმუროთ წყალქვეშა ნავისა და ნაღმის გაკეთების ცდები. ეს უფლება მთლიანად ჩვენ ხელთ უნდა იყოს..

— მაშასადამე, თქვენ თითონ ააგებთ ჩემი პროექტებით გემებს?

— არც თქვენ და არც ჩვენ! წყალქვეშა ნავი ინგლისს არ სჭირდება. ჩვენ ძლიერი ფლოტი გვიცის. წყალქვეშა ნავი




ჭულტონის ფერლებება ნავი „ნაუტილუსი“

ნავი წარმოადგენდა ფურცლოვანი რკინისაგან გაკეთებულ სიგარი-სებულ სხეულს (1—2). ნავის ქვეშ მიძაგრებული იყო ყუთი გამა-წონასწორებელი ტეირთით (3), რომელიც საექირისი იყო ნავის ჩასაძირავად მხოლოდ მისი წყლით დართულიად. უფრო ღრმად ჩა-ძირია ხელებობა წყლის შემცვებით ნავის ქვედა ნაწილში, რისთვისაც გათვალისწინებული იყო ხელით მომქმედი ტუმბი (4). ნავის ცხვირზე გაკეთებული იყო რგვალი კოშკი (5) საჭერეტი მილით (6). წაყვანი ხელანის (7) ბრუნვა წარმოებდა შიგნიდნ. ნავის სიჩქარე ნავარაუდევი იყო 5 კილომეტრამდე საათში. ნავის მართვა წარმოებდა ვერტიკალური (9) და ჰორიზონტალური (10) საჭებით. ნავიდან შეიძლებოდა ნაღმის (M) გადმოშვება და მისი მიმაგრება მოწინააღმდეგის გემზე ისრით (18). თავისუფალი ცურვის დროს ნავს შეეძლო ესარგებლად გასაშლელი იალქნით (19). ნავის ერთ ადგილზე გასაჩერებლად გათვალისწინებული იყო ღუზა (17). ღა-ნარჩენი ხელსაწყოები: ჭალამბარები (15, 16, 20), სახელურები (10, 12) და სხვა ნაჩვენებია ნახაზზე.

უნდა დაიმარხოს, რომ სხვამ არ ისარგებლოს მათი ჩვენს წინააღმდეგ.

— როგორ თუ დაიმარხოს! მაში ფულს იმაში მაძლევთ, რომ მე ჩემივე იდეა დავისამარო? არასოდეს:..

რომ ფულტონი უფრო გარკვეული ყოფილიყო ინგლისის საერთაშორისო მდგომარეობაში მას არ ეუცხოებოდა და არ აღაშფოთებდა ასეთი წინადაღება. ინგლისი ზღვაზე ყველაზე ძლიერი საჰელმწიფო იყო, მისი გემები ბატონობ დნენ საზღვაო გზებზე. არსად სჩანლა ისეთი მტერი, რომლის



ფულტონის ფერლევიზა ნაღო

ფულტონის ნაღოის მთავარ ნაწილს წარმოადგინდა ყუთი (B) დენით. რომელიც, სიმძიმის შესამცირებლად, მიკრული იყო ტიპოვაზე, (C). მეორე ტიპტივა (D) იცავდა ნაღმს ჩაძირებისაგან ნაღმს მობტული ჰქონდა ორფი (E) რომლის მეორე ბოლო მიმაჯრებული იყო ისარჩე (P). ისრის ფასროლა და მისი მტრის გემის სხეულში ჩარჭობა ხდებოდა დამბარით (F) ნაღმის აფეთქება შეიძლებოდა ორგვარად: ან ჩაძმაზე მიმაგრებული თოკის (K) გამოკრით, ან საათის მექანიზმით (A), რომელიც თვით ააფეთქებდა ნაღმს გარკვეული დროის შემდეგ.

წინააღმდეგ საჭირო ყოფილიყო წყალქვეშა ნავის ან ნაღმის გამოყენება. ამავე დროს საიდუმლოება შეიძლება გამხელი-ლიყო და სხვას ესარგებლა წყალქვეშა ნავით და ნაღმით ინგლისის ფლოტის წინააღმდეგ უმჯობესი არ იყო სრულებით მოესპორ პროექტები?

ასე მსჯელობდნენ ინგლისის საზღვაო ფლოტის მესვეურები. ეს მათი აზრი კიდევ უფრო განამტკიცა აღმირალ ნელსონის ბრწყინვალე გამარჯვებებმა. ნელსონს, ამბობდნენ ისინი, ხომ არ დასჭირებია არც წყალქვეშა ნავი და არც ნაღმი!

ფულტონის კიდევ ერთი ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ლივინგსტონთან შეთანხმებით მან შეუკეთა უატის ქარხანას ახალი ორთქლის მანქანა და ამერიკაში გაემგზავრა, რომ იქ აეგო ორთქლმავალი გემი.

— ამ მიზანს მან კიდევაც მიაღწია. გემის გამომგონებელთა შორის ფულტონის სახელი გაისმის ყველაზე მკაფიოდ სწორედ იმიტომ, რომ მხოლოდ მან შესძლო საბოლოო ანგარიში, დასრულებული, საიმედო, ბავშვური სენისაგან განკურნებული გემის შექმნა; რომელიც პირველ დღიდანვე გამოსადეგი აღმოჩნდა ნაოსნობისათვის და რომელიც წარმოადგენდა ფულტონის ეპოქის შესრულებას.

ბრწყინვალე გამარჯვება

ს

იგრძე 42 მეტრი, სიგანე შუატანში 6 მეტრი—ასეთი იყო ახალი გემი, შეკვეთილი ფულტონის და ლივინქტონის მიერ. ნახაზები ფულტონმა დაამზადა. გამომგონებელი უშუალო მონაწილეობას იღებდა გემის აგებაში. ორთქლის მანქანა უნდა მოსულიყო ინგლისიდან, უატის და ბოლტონს ქარხნიდან.

გემის აგება დიდ თანხას მოითხოვდა. საკმაო ფული არ იყო. ლივინქტონმა უკანასკნელი საშუალებაც არ დაზოგა — დააგირავა თავისი მძღვალი „კლერმონტი“.

1807 წლის აგვისტოს ყველაფერი მზად იყო. მდინარე ჰუდსონზე ზანტად იჩეოდა გემოვნებით გაკერებული გემი. „კლერმონტი“ — ასეთი სახელწოდება მისცა ფულტონმა გემს, ნიშნად იმ დახმარებისა, რომელიც აღმოუჩინა მას ლივინქტონმა.

დადგა დღე — 1807 წლის 11 აგვისტო — რომელმაც ბრწყინვალე დააგირგინა ფულტონის მრავალი წლის შრომა და რომელმაც სრული უფლებით აღჭურვა ორთქლმავალი გემი.

ნიუ-იორკი მოუთმენლად ელოდა იმ დღეს. ჰუდსონის სანაპირო ხალხით იყო გაცემული.


„კლერმონტი“ დაიძრა, თანდათან უმატა სიჩქარეს და ამაყად გასრაალდა განცვიფრებული და აღტაცებული მაყურებლების წინ.

არა, „კლერმონტი“ არ გავდა არც რუმზეის ტლანქ ნავს, არც ფიჩის ნიჩბებიან ხომალდს. ნიუ-იორკელებს ჭერ ასეთი

არაფერი უნახავთ. კოხტა, მძლავრი, ჩქარი. მანძილი წიუბიორკიდან ალბენამდე (266 კილომეტრი) გემია 32 საათში დაპფარა, გაჩერებების ჩათვლით. ეს სრული გამარჯვება იყო.

საჭირო იყო ამ გამარჯვების განაღდება. მალე გაზეთში გამოჲვენდა განცხადება, რომ გემი ივლის ნიუ-იორკიდან ალბენამდე კვირაში ორჯერ. „გემზე არის ბუღეტი, კარგი საწოლები და ყველაფერი რაც საჭიროა. მგზავრობის ღირებულება: ნეიბურგამდე — 3 დოლარი, პოუქსიმდე — 4, ესოპუსამდე — 5, პულზონამდე 5 ნახევარი და ალბენამდე — 6. ბილეთის შეძენა შეიძლება: პორტლანდ-სტრიტი № 48...“

განცხადება განცხადებად დარჩა, მგზავრები არ სხანდნენ. მიუხედავთ ამისა გემი მაინც დანიშნულ დროზე გავიდა



„კლერმონტი“ დადგმული უატის ორთქლის მანქანა
 1 — ოროქლის ქვაბი; 2 — საოროქლე მილი; 3 — ცილინდრი დგუშით; 4 — ბერკეტი; 5 — ბერკეტის თითი; 6 — მიმართველი პარალელები; 7 — ბალანსირი; 8 — მრულმხარა; 1 — წამყვანი კბილანა; 11 — მიმყოლი კბილანა; 12 — ნიჩებებიანი ბორბლის ღრები; 13 — ნიჩებებიანი ბორბალი.

პირველ რეისში. მხოლოდ უკან დაბრუნებისას „კლერმონ-ტის“ გემბაზე ავიდა ერთი კაცი.

- თქვენ ხართ ამ გემის კაპიტანი?
- დიახ, რა გნებავთ?
- მგონი თქვენ მაღე აპირებთ ნიუ-იორქში დაბრუნებას?

— დიახ — უპასუხა ფულტონმა და შეხედა საათს — მე აავემგზავრები 40 წუთის შემდეგ.

- მაშ იქნებ შეგიძლიათ მეც წამიყვანით?
- რასაკვირველია, თუ კი თქვენ არ გეშინიათ. ადგილი, სამწუხაოოდ, უფრო მეტია ვინემ ერთ მგზავრს სჭირდება, — ნაღვლიანად გაიღიმა ფულტონმა.

— რა ღირს მგზავრობა?

— ნიხრის მიხედვით — ექვსი დოლარი.

მიღებულ ფულს ლილხანს გაოცებით ღაპურებდა ფულტონი:

— განა თქვენ თვითონ არ დამისახელეთ ღირებულება? — შეეკითხა ფულტონს მგზავრი, რომელსაც ეგონა რომ შეცდა და ცოტა გადაიხადა.

ფულტონი გონის მოვიდა. მისი თვალები ცრემლით იყო ამოვსილი.

— ბოდიში... არა არა... თქვენ გადაიხადეთ რაც საჭიროა. მე იმან დამაფიქრა, რომ ეს ექვსი დოლარი პირველი საფასურია იმ შრომისათვის, რომელიც მე რამდენიმე წლის მნიშვნელზე მოვანდომე გემს. დაახლოებით ერთი დოლარი წელიწადში. მე დაგპატიუებდით ჭიქა ღვინოზე ნიშნად ჩემი მაღლობისა, იმ ნდობისათვის, რომელიც თქვენ გამომიცხადეთ, მაგრამ, სავალალოდ, მე ეხლა ისე მდიდარი არა ვარ, რომ თუნდაც ასეთი მცირე გამასპინძლება შევძლო. თუმცა მე იმედი მაქვს კიდევ შევხვდებით, როცა ჩემი საქმეები ცოტათი გამოსწორდება. მაშინ — ღიმილით ღაამთავრა ფულ-

ტონმა— ჩვენ შევსვამთ არა ერთ ბოთლ ღვინოს დღევან-
დელი ღირსშესანიშნავი დღის მოსაგონებლად..

ერთი თვის შემდეგ გაზეთ „ეგენინგ პოსტ“-ში ნიუ-ორ-
კელთა ყურადღება მიიპყრო შემდეგმა უჩვეულო ცნობამ:

„მისტერ ფულტონის მიერ ახლად გამოგონებული გემი,
რომელიც კარგად არის მოწყობილი მგზავრებისათვის და
დაღის ალბენისა და ნიუ-იორქს შორის, გავიდა დღეს 90
მგზავრით. როგორც იმოწმებიან, მიუხედავად საწინააღმდე-
გო ქარისა, გემი მიდიოდა 6 მილის (9,5 კილომეტრის) სიჩ-
ქარით“.

მალე „კლერმონტმა“ გაამართლა მისი შემქმნელთა
იმედები. შემოსავალმა დაპფარა ვალები, წარმატებამ სიმშ-
ვიდე და კმაყოფილება დანერგა ფულტონის გულში. ლევინქ-
ტონმა თაჭისი მამული გამოისყიდა.

უკანასკნელი წლები

ა
ობერტ ფულტონი ლივინქტონის ხშირი
და საპატიო სტუმარი იყო. აქამდე ფულ-

ტონმა ხეტიალში და შეუსვენარ შრომაში გაატარა თავისი
ცხოვრება ჭალარა ისე შემოეპარა, რომ დროც არ ჰქონდა
ეფიქტი თვალშისისათვის. წარმატების მწვერვალზე მი-
სულმა 43 წლის ფულტონმა მხოლოდ ეხლა გადაწყვიტა პი-
რალი ცხცოვრების დაწყება. ლივინქტონის ძმის შვილი
პარიეტ ლივინქტონი შესაფერი მეუღლე და მეგობარი აღ-
მოჩნდა.

ხეტიალი დამთავრდა. ფულტონი ოჯახურ გარემოცვაში
განაგრძობდა თავის სასარგებლო და ბრწყინვალე მომავლის
მქონე საქმიანობას.

თუ რამდენად მომწიფდა შანქანით აღჭურვილი გემების
საჭიროება, იქიდან სჩანს, რომ 1812 წლისათვის ცენტრალუ-
რი ამერიკის მდინარეებზე 50-მდე ასეთი გემი მიმდიოდა.
აღმოცვანდა მრავალი სანაოსნო ამხანაგობა. ფულტონის მთა-
ვარ საზრუნავს შეადგენდა გემის გაუმჯობესება, ახალი ტი-
პების შექმნა. თუ პირველი გემები „კლერმონტის“ ასლს
წარმოადგენდნენ, 1811 წელში აგებული „პანცლერი ლი-
ვინქტონი“ და „პარაგონი“ ბევრად უფრო გაუმჯობესებული
და სწრაფმავალი გიმები იყვნენ. 1812 წელს ფულტონმა
ახალი ამოცანა გაღასჭირა — მან შექმნა ორთქლმავალი ბო-
რანი, რომელზედაც 8 ეტლი, 30 ცხენი და 400-მდე მგზავრი
ეტეოდა. სამი ასეთი ბორანი ემსახურებოდა ნიუ-იორკის
ახლო მდებარე ბრუკლინს.

1814 წელს ფულტონი, მთავრობის დავალებით, აგება
ნახევრად წყალქვეშა სამხედრო გემს. ბრძოლის დროს მას
შეეძლო ჩაძირვა იმდენად, რომ მარტო ზარბაზნები რჩებოდ-
ნენ წყლის ზედაპირზე. იმავე წელს ამერიკის კონგრესმა
დაავალა მას მძლავრი კრეისერის აგება. ეს კრეისერი, რო-
მელიც დამთავრდა ფულტონის სიკვდილის შემდეგ და რო-
მელსაც „ფულტონ პირველი“ უწოდეს, იმ დროისათვის
უდიდეს და სრულებით განსაკუთრებული ტიპის გემს წარ-
მოდგენდა.

ის ორი შეტყუპებული გემისაგან შესღებოდა. თითოეუ-
ლის სიგრძე უდრიდა 48 მეტრს, სიგანე — 6,2 მეტრს. გემის
საერთო წყალწყვე 2500 ტონა იყო. ის იტევდა 30 ზარბაზნს,
6 ნამდტყორცებს. მძლავრი წყლის ტუმბო, ფულტონის
პროექტის მიხედვით, დაღვმული იყო გემზე იმაჲთვის, რომ
მოწინააღმდეგის გემი წყლით აეგსო. და ჩაძირა.

გემების მშენებლობასთან ერთად ფულტონი სხვა ბევრ
საინჟინრო საქმიანობას ეწერდა.

ფულტონმა შეასრულა თავისი როლი. შესაძლოა კიდევ
ბევრი რამ მოეცა მას კაცობრიობისათვის, რომ დასცლოდა,
მაგრამ ვინ იცის, იქნებ სიბერეში უატივით დაქმაყოფილდე-
ბოდა იგი თავისი მთავარი მიზნის მიღწევით და
ახალგაზრდობას დაულოცავდა მომავალს.

ფულტონი ოცნებობდა მხოლოდ იმაზე, რომ ორქელ-
მაგალი გემი გასცილებოდა მღინარეებს და ზღვა-ოკეანების
სიგრძეზე გასულიყო. მყრამ ფულტონს არ ელისრა ამ ოც-
ნების განხორციელება მხოლოდ 1819 წელს პირველად გა-
დალახა ატლანტიკური ოკეანე ორქელმავალმა გემმა. ფულ-
ტონი ამას ვერ მოესწრო. 1815 წლის 25 თებერვალს მოხე-
ტიალე მხატვარმა დამოხეტიალე ინჟენერმა დაასრულა თავი-
სი ცხოვრების გზა.


ს ა რ ჩ 0 3 0

	83.
მოხეტიალე შხატვარი	3
ახალი მეგობრები	7
გზაჯვარედინზე	11
დასახული მიზნისაკენ	15
ცოტა რამ ისტორიიდან	19
დიდი აღმიანის ორი შეცდომა	25
კიდევ ერთი ცდა	29
ბრწყინვალე გამარჯვება	34
უკანასკნელი წლები	38

პ/მგ. რედაქტორი მ. კუჭაიძე
გამომზები ლ. იშერა
კორექტორი ქ. ივანიცკაა.

გადაეცა წარმოებას 24/XII. ხელმოწერილია დასაბეჭდად
დამოუკიდებელიათა რაოდენობა 2,5. საავტორო ფორმათა რაოდენობა - 1,75.
შეკვეთი 1574 შეკვეთი 15120 ტიკ. 3000

საქ. სსრ მინისტრითა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემ-
ლობების საქმეთა სამმართველოს 1-ლი სტამბა, ორგვინიკიდის ქ. № 50.



ფასი 4 მან.

6593

12/89

ლ. მ. ქელენჯერიძე
РОБЕРТ ФУЛЬТОН
(на грузинском языке)
Издательство „Техника да Шрома“
19 Тбилиси 48